ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №3
2024 წლის 22 იანვარი

ქ. ჭიათურა

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M2 და M3 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სვლაგეზების, მგზავრობის ტარიფისა და მუნიციპალური სამგზავრო საბაგირო გზით მგზავრობის ტარიფის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის საფუძველზე, ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

დადგინდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სვლაგეზი №1 დანართით განსაზღვრული სქემის შესაბამისად.

მუხლი 2

დადგინდეს ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_3 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სვლაგეზი №2 დანართით განსაზღვრული სქემის შესაბამისად.

მუხლი 3

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_2 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სვლაგეზზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 0,5 (ორმოცდაათი თეთრი) ლარით.

მუხლი 4

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში M_3 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებებით რეგულარული სამგზავრო გადაყვანის სვლაგეზზე მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 0,5 (ორმოცდაათი თეთრი) ლარით.

მუხლი 5

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მუნიციპალური სამგზავრო საბაგირო გზით რეგულარული სამგზავრო გადაყვანისას (ყველა მიმართულებით) მგზავრობის ტარიფი განისაზღვროს 0,5 (ორმოცდაათი თეთრი) ლარით.

მუხლი 6

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ჭიათურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე — **ალექსანდრე ციცქიშვილი**

დანართი №1

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M_2 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების სვლაგეზების სქემა

№	მარშუტის №	სვლაგეზი	ყოველდღიურად საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობა

1	1	თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური) – მაღაროელთა მოედანი – ნინოშვილის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – აღმაშენებლის ქუჩა – გაგარინის ქუჩა (ყოფილი პროფესიული სასწავლებელი) – უკანა გეზი: გაგარინის ქუჩა – ფრანგიშვილის ქუჩა – აღმაშენებლის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – ნინოშვილის ქუჩა – მაღაროელთა მოედანი – თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური)	1
2	2	თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური) – თხელიძის ქუჩა (საგუბარი) – ნინოშვილის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – ჭავჭავაძის ქუჩა – ვაჩნაძის ქუჩა – სოფელი სალიეთი – უკანა გეზი: სოფელი სალიეთი – ვაჩნაძის ქუჩა – ჭავჭავაძის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – ნინოშვილის ქუჩა-თხელიძის ქუჩა (საგუბარი) – თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური)	1
3	3 (წრიული)	თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური) – მაღაროელთა მოედანი – ნინოშვილის ქუჩა – აბაშიძის ქუჩა – ჭიღლაძის ქუჩა – რუსთაველის ქუჩა – ნინოშვილის ქუჩა – თხელიძის ქუჩა (საგუბარი) – თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური)	1
4	4	თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური) – თხელიძის ქუჩა (საგუბარი) – ნინოშვილის ქუჩა – საჩხერის გზატკეცილი – გიორგაძის ქუჩა – უკანა გეზი: გიორგაძის ქუჩა-საჩხერის გზატკეცილი – ნინოშვილის ქუჩა-თხელიძის ქუჩა (საგუბარი) – თხელიძის ქ.№7 (ცენტრალური საბაგირო გზის სადგური)	1

დანართი №2

ჭიათურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის M 3 კატეგორიის მუნიციპალური ავტოსატრანსპორტო საშუალებების სვლაგეზების სქემა

№	მარშუტის №	სვლაგეზი	ყოველდღიურად საჭირო ავტოსატრანსპორტო საშუალების რაოდენობა
1	1	ჭავჭავაძის ქ.№57 – ტოლსტოის ქუჩა – ნინოშვილის ქუჩა – აბაშიძის ქუჩა – ჩაჩანიძის ქუჩა – წმინდა გერმანეს ქუჩა – გოგებაშვილის ქუჩა – უკანა გეზი: გოგებაშვილის ქუჩა - ცხოვრებაძის ქუჩა (მემორიალი) – წმინდა გერმანეს ქუჩა – ჩაჩანიძის ქუჩა – აბაშიძის ქუჩა – ნინოშვილის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – ჭავჭავაძის ქ.№57	1
2	2	სოფელი ჭილოვანი (ცენტრი) – სოფელი წინსოფელი – აღმაშენებლის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – ნინოშვილის ქუჩა – აბაშიძის ქუჩა – ჩაჩანიძის ქუჩა – წმინდა გერმანეს ქუჩა – ცხოვრებაძის ქუჩა – სოფელი ნავარძეთი – სოფელი კაცხი (მოედანი კაცხის სვეტთან მისასვლელ გზაზე) – სოფელი დიდი კაცხი (სოფელ ქვაციხის გადასახვევამდე) – უკანა გეზი: სოფელი დიდი კაცხი – სოფელი კაცხი-სოფელი ნავარძეთი – ცხოვრებაძის ქუჩა – წმინდა გერმანეს ქუჩა – ჩაჩანიძის ქუჩა – აბაშიძის ქუჩა- ნინოშვილის ქუჩა – ტოლსტოის ქუჩა – აღმაშენებლის ქუჩა – სოფელი წინსოფელი – სოფელი ჭილოვანი (ცენტრი)	1